სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტო

ქ. თბილისის № 158 საჯარო სკოლის შენობის №2 ნაგებობის

დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2015 წელი

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტო

ქ. თბილისის №158 საჯარო სკოლის შენობის №2 ნაგებობის

დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

არქიტექტურის სამსახურის უფროსი ზ. ნიკოლაიშვილი

ორგანიზაციის პროექტის ავტორი ტ. სტურუა

თბილისი 2015 წელი

შემადგენლობა

ა)განმარტებითი ბარათი

I.შესავალი

II.სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III.სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV.სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII.უსაფრთხოების ტექნიკა

VIII.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“

ნახაზი „მო-2“ - „სადემონტაჟო სქემები“

განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ქ. თბილისის №158 საჯარო სკოლის შენობის №2 ნაგებობის დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების(სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1.სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“

3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნის თანახმად სკოლის შენობის დემონტაჟის შემსრულებელმა სამშენებლო ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება. აკრძალულია სკოლის შენობის დემონტაჟის სამუშაოების დაწყება დამტკიცებული „სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებაზე.

სადემონტაჟო სამუშაოთა შემსრულებელმა სამშენებლო ორგანიზაციამ „ნულისქვეშა“ ციკლის სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა უზრუნველყოს სკოლის სადემონტაჟო №2

ნაგებობის საძირკვლების და ასევე №2 ნაგებობასთან მომიჯნავედ განლაგებული არასადემონტაჟო №1 ნაგებობის და №3 შენობის საძირკვლების განლაგების დონისა და ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ იმ მიზნით, რომ არ მოხდეს არასადემონტაჟო შენობა-ნაგებობების დაზიანება.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

ქ. თბილისის №158 საჯარო სკოლის შენობა მდებარეობს ვაკე-საბურთალოს რ-ნში,გოძიაშვილის ქუჩის II შესახვევის №21-ში.

საჯარო სკოლის შენობა შესდგება №1,№2 და №3 შენობა-ნაგებობებისგან.

ამჟამად ექსპლუატაციაში არის მხოლოდ სამსართულიანი №3 შენობა, რომელშიც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს.

სკოლის №2 და №1 ნაგებობები დღეის მდგომარეობით დაუმთავრებელია . ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სპეციალისტთა მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნა №005299-2012/03/2-ის თანახმად, №2 ნაგებობა არის ერთსართულიანი,სარდაფით.ზომებით გეგმაში 34,4x41,0 მ. ნაგებობა არის კარკასული ტიპის,შესრულებულია რკ/ბეტონის ანაკრები ელემენტებით.ასეთ დაუმთავრებელ მდგომარეობაში ნაგებობა იმყოფება 20 წლის განმავლობაში. ნაგებობას ერთი მხრიდან კედელი არ გააჩნია,მეორე მხარეს კედლის შევსება შესრულებულია მსხვილი

ბეტონის ბლოკებით. იატაკის ღრუტანიანი ანაკრები რკ/ბეტონის

ფილები ეყრდნობიან ანაკრებ რანდკოჭებს,რომელიც დადებულია საძირკვლის კედლის ზედა წახნაგზე. რანდკოჭი თავისი დანიშნულებით და კონსტრუქციული ტიპის მიხედვით უნდა იყოს ორ საყრდენზე მდებარე კოჭი.

ტოტალური ხასიათი აქვს მარილების ლაქების გამოტანას რიგელების და ფილების ზედაპირზე.ბევრ ადგილში ჩამოშლილია დამცავი შრე,დაჟანგულია მუშა არმატურა,მას აქვს განცდილი ცვეთა. გადახურვის ფილების დიდი ნაწილი სადემონტაჟოა. საექსპერტო დასკვნის თანახმად,№2 ნაგებობის (კარკასული) მზიდი ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. სვეტებს ესაჭიროებათ გამაგრება. დაზიანებულია რიგელებისა და სვეტების შეერთებების კვანძები. გადახურვის რკინის კონსტრუქცია რკ/ბეტონის ღრუტანიან ფილებთან ერთად უნდა იქნას დემონტირებული.გადახურვის ღრუტანიანი ფილები მთლიანად ექვემდებარება დემონტაჟს.

სააგენტოს თანამშრომლების მიერ შესწავლილი იქნა №2 ნაგებობის სარდაფის გადახურვის რკ/ბეტონის კონსტრუქციაც. ღრუტანიანი ფილების და რიგელების მდგომარეობა სარდაფშიც არადამაკმაყოფილებელია.კონსტრუქციების მუშა არმატურა მასიურად არის გაშიშვლებული და დაჟანგული. აღნიშნულ მდგომარეობაში №2 ნაგებობის აღდგენა-გაძლიერება არის არარენტაბელურია და ის ექვემდებარება დემონტაჟს.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

ქ. თბილისის №158 საჯარო სკოლის შენობის №2 ნაგებობის დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან -3 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა-0,5 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტქნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

ქ. თბილისის №158 საჯარო სკოლის შენობის №2 ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი-მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი-დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

1)სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი ღობით სახიფათო ზონის ფარგლებში.
2)დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა.

3)შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან.

4)მტვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების განხორციელება.

5)სახიფათო ზონების შემოღობვა; ამკრძალავი, გამაფრთხილებელი

ნიშნების და სიგნალების მოწყობა.

6) დროებითი სასაწყობო მოედნების მომზადება.

ძირითად პერიოდში ხორციელდება სკოლის შენობის №2 ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ეტაპებად:

Iეტაპი - I სართულის დემონტაჟი

IIეტაპი- სარდაფის სართულის დემონტაჟი

IIIეტაპი -საძირკვლების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ , „გადახურვიდან-საძირკვლების ჩათვლით“ ,ელემენტური დაშლისა და გამსხვილებული ბლოკებით დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად.

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი თითოეულ სართულზე სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა)გადახურვის ფილების, კიბის დემონტაჟი

ბ) რკ/ბეტონის რიგელების,ლითონის კონსტრუქციის და რკ/ბეტონის კოჭების დემონტაჟი

გ)მსხვილი ბლოკის კედლების დემონტაჟი

დ)რკ/ბეტონის სვეტების დემონტაჟი

სულ ბოლო ეტაპზე ხორციელდება საძირკვლების დემონტაჟი.

V.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობის სადემონტაჟო სამუშოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან ყველა შიგა კომუნიკაცია (დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა).

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა,განლაგება და მაქსიმალური წონა.

მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ ანუ „გადახურვიდან-საძირკვლების ჩათვლით“ ,შენობის სართულების მიხედვით, ამასთანავე ქვედა სართულზე დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვერტიკალურ სიბრტყეში მისი ზედა სართული მთლიანად დემონტირებულია.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

სამუშაოთა წარმოების პროექტში დამუშავდეს ანაკრები მზიდი კონსტრუქციების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. სართულებზე პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ანაკრები კონსტრუქციები დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება

დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით.

ბლოკის კედლების დემონტაჟი ხორციელდება ორი მეთოდით:

1)ელემენტური დაშლის გზით-მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი ბლოკის კედლების დემონტაჟი

2)გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის გზით- ბლოკის კედლების (მეორადი გამოყენებისთვის უვარგისი) დემონტაჟი.

შენობის I სართულზე აკრძალულია ბლოკის კედლების დანგრევა პირდაპირი მონგრევის გზით (გადახურვის რკ/ბეტონის ფილების შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად).

სარდაფის სართულში კი შესაძლებელია კედლებისა და ტიხრების დანგრევა პირდაპირი მონგრევის გზით,მექანიზმების გამოყენებით.

საძირკვლების მონგრევა ხორციელდება ხელით, პნევმატური ჩაქუჩების გამოყენებით და ასევე „კოდალას“ გამოყენებით.

აუცილებლობის შემთხვევაში (გადაწყდეს ადგილზე) შესაძლებელია I სართულის ბლოკის კედლების დასანგრევად გამოვიყენოთ „ეშვიანი“ ექსკავატორი ე.წ. „კოდალა“.

გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის შემთხვევაში ამ ბლოკების დემონტირება და ტრანსპორტირება მიწამდე ხორციელდება მუხლუხა ამწით რდკ-25 და საავტომობილო ამწით,ტვირთამწეობით 25ტნ.

გადახურვის ფილების დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის მეთოდით შემდეგნაირად:

1)ხდება გადახურვის ფილის პირაპირებისა და სარტყელების ბეტონის შრის დაშლა ხელით,სანგრევი ჩაქუჩით.

2)ხდება გადახურვის ფილის დაჭერა ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით და არმატურისა და ლითონის დეტალების ჩაჭრა

3)სარტყლის არმატურის კარკასის ჩაჭრის შემდეგ განთავისუფლებული ფილა ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით დემონტირდება სასაწყობო ადგილზე ან ავტომანქანაზე (გასატანად).

რკ/ბეტონის რიგელების და კოჭების დემონტაჟი ხორციელდება შემდეგნაირად:

1)ხდება კონსტრუქციის ორივე მხარის კვანძური შეერთებების გაშიშვლება ნალესისგან

2)ელ.ჩაქუჩით ხდება კონსტრუქციის ორივე მხარეს ბეტონის შრის დაშლა და არმატურის კარკასის გაშიშვლება კვანძურ შეერთებებში.

3)ხდება კონსტრუქციის არმატურის კარკასის კვანძური შეერთებების ჩაჭრა ორივე მხარეს და კონსტრუქციის ჩამოღება ამწით. მთელი ამ სადემონტაჟო ოპერაციის დროს კონსტრუქციის ჩამოვარდნის თავიდან აცილების მიზნით კონსტრუქცია დაჭერილია ლითონის ბაგირჩამჭიდებით.

რკ/ბეტონის სვეტის დემონტაჟისას ბეტონის შრის დაშლის შემდეგ ხდება სვეტის კვანძური შეერთების არმატურის კარკასის ჩაჭრა და ამწით ჩამოღება. ოპერაციის წარმოების მთლიან პერიოდში სვეტი დაჭერილია ბაგირჩამჭიდებით ამწის მიერ.

სამშენებლო ნაგვის აღება ხორციელდება ექსკავატორით ჩამჩის ტევადობით 1მ^3. ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით.

ობიექტის მეპატრონის გადაწყვეტილების შემთხვევაში მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალები,დეტალები და კონსტრუქციები დასაწყობდება დროებით სასაწყობო მოედნებზე.

№2 ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოები (ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი;მძიმე დეტალებისა და ნაკეთობების დემონტაჟი;ვარგისი მასალების ჩამოღება; სამშენებლო ნაგვის ჩამოღება და სხვ.) ხორციელდება მოძრავი მუხლუხა (რდკ-25) და საავტომობილო ამწეების გამოყენებით, ტვირთამწეობით 25 ტნ (2 ც).

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ორივე ამწე მოძრაობს შენობის გარე კონტურთან მიბმით 5.0 მ-ზე.(იხ. „სადემონტაჟო გენგეგმა“).

ორივე ამწე მუშაობს როგორც ისრულ,ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში. საჭიროების შემთხვევაში მუხლუხა ამწეს შეუძლია მუშაობა კოშკურა-ისრულ შესრულებაში.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება სართულებიდან ხორციელდება დახურული ღარების და ბუნკერების მეშვეობით.

სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნები.

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

№2 ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. მუხლუხა ამწე,რდკ-25, ტვირთამწეობით 25 ტნ- 1ც
2. საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 25ტნ-1ცალი
3. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 1მ^3-1ცალი
4. ექსკავატორი-ეშვიანი „კოდალა“-1ცალი
5. ბულდოზერი-1ცალი (მცირე სიმძლავრის)
6. მოძრავი კომპრესორი-1ცალი
7. ავტოთვითმცლელები-4ცალი
8. ბორტული ავტომანქანა-4ცალი
9. სპეციალიზებული ტრანსპორტი-1ცალი
10. ავტოდამტვირთავი-1ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-3კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-4ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-2ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-4ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-200მ^2

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით,ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები და უსაფრთხოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები(დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ანაკრები რკ/ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები,განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა.სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონების საზღვრები სადემონტაჟო შენობის კონტურიდან შეადგენს 5.0 მ-ს.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა მოეწყოს სახიფათო ზონების აღნიშვნა კარგად დასანახი ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნებით და სასიგნალო ნათურებით და შემოიღობოს სახიფათო ზონები დროებითი ღობით.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სკოლის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონებში.

დემონტაჟის სახიფათო ზონების მოცემული რადიუსები დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში ან უშუალოდ დემონტაჟის სამუშაოთა დაწყების წინ, ადგილზე.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელები, ხელთათმანები, ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ,გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

თითოეულ სართულზე სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ადამიანთა ყოფნა ამ სადემონტაჟო სართულის ქვემოთ განლაგებულ სართულებზე.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

სადემონტაჟო გენგეგმა მ 1:1000


ქუჩა
არხეგშელი
V4
2/1
3/3
V1
IV
V
II
III
5.0
5.0
5.0

სადემონტაჟო სქემა მ 1:200
(მუხლუხა ამწის)



სადემონტაჟო სქემა მ 1:200
(საავტომობილო ამწის)



შენიშვნები:

1. წინამდებარე ნახაზი „მო-2“ იხილეთ განმარტებით ბარათთან და ნახაზ „მო-1“-თან ერთად.
2. სადემონტაჟო სქემები დამუშავებულია №2 ნაგებობის დემონტაჟის ტიპიური პროცესისათვის.
3. ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად ადგილზე უნდა დაზუსტდეს თითოეული სადემონტაჟო ანაკრები კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობა, წონა, ისრის შვერისა და კაკვის აწევის საჭირო მაქსიმალური სიმაღლეები.
4. დროებითი ღობის მოწყობის საკითხი გადაწყდეს ადგილზე.
5. ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ-III-4-80*-ის მოთხოვ-ნების შესაბამისად.

წარმოებელია ქ. თბილისი №158 საჯარო სკოლის შენობის №2 ნაგებობის დემონტაჟი		სსიპ საბინაო-სამშენებლო და ადგილობრივ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო 8 კრწანისის ს. შიდა-ნაგებობა N1, II სართული ფასადები 2000 ტ.: (995 32) 2 200 220; 2 230 225; www.sada.ge	სახელის დასახელება სადემონტაჟო სქემები ნახაზის ძირითადი ტექნიკური დოკუმენტაცია სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	არქიტექტურის სამსახურის უფროსი ზურაბ ნიკოლაიშვილი შეასრულა ტარიელ სტურუა მასშტაბი 1:200 ნახაზი „მო-2“ ფურც. N2 სულ ფურც. 2 სტატუსი რევიზია

სარდაფის სართულის გეგმა -6.75 ნიშნულზე



ექსპლიკაცია

პირობითი ნიშნები

± 0.00 ფარდობითი ნულოვანი ნიშანი

მინაშენები

1. ეზოშიგა ფასადებიდან დაცილება, ფანჯრებიდან, ფანჯრებიდან დაცილება

2. ნაგებობა ზოგადი მოთხოვნილებით ფასადები

3. ტექნიკური ნაგებობა დაცილებულია საკადასტრო ნაკვეთის ფარგლებიდან.

ინიციატორის სახელწოდება

ქ. თბილისი, მოქალაქეთა ფ-ლ 2 მიმდებარე, №21-ის ფარგლებზე №158 საბინაო სანიაღვრე სადგომისადგომ ადგილის ეზოშიგთა ნაგებობის ინიციატორი

დაპროექტება	№158 საბინაო სანიაღვრე ს.ს. "ნაგებობა ინიციატორ" ქ. თბილისი, ნოსიძის ქ. №28. 599 73 02 15

თანამდებობა	ფამილია	ხელმოწერა	თარიღი
ინჟინერ-კონსულტანტი	ბ. ბალანიძე		
ინჟინერ-კონსულტანტი	ვ. ბერიძე		
ინჟინერ-კონსულტანტი	ი. ხარაბაძე		

სარდაფის სართულის გეგმა -6.75 ნიშნულზე

მასშტაბი	1:200	თარიღი	
სტადია		ფურცლების	ფურცლების
პროექტი		7	3-01
ფურცლის A-3	თებერვალი 2015 წ. ფასადების N		

სარდაფის სართულის გეგმა -3.55 -2.70 ნიშნულებზე

ექსპლიკაცია

პირობითი ნიშნები

- ± 0.00 ფარდობითი ნიშნული

მითითებები

1. ეზოშია ჩასრულებელია დაგებულის ბეტონ მოთითებულია დეტალზე
2. ნაკეთზე ზოგიერ მოვდებული მეორეები
3. ნიშნული სავა ფაბრიკიდან საკუთარი ბაზით მოხდეს.

პროექტის სახელწოდება

ქ. თბილისში, მოიერთების 60-ე მიკრორაიონი, N21-ში მდებარე N158 საბავშვო ბაღის სრული აღდგენითი მშენებლობა ეზოშიდან ნაგებობის პროექტი

დამკვეთი	N158 საბავშვო ბაღი
	ს.ს. "ნაგინ-ინჟინერინგ" ქ. თბილისი, ნოსიძის ქ. N28, 599 73 02 15

ინჟინერ-მრჩეველი			
ინჟინერ-კონსულტანტი			
მენეჯერი			

ნაგებობის სართულების ნიშნულები -3.55 -2.70 ნაგებობისთვის

მასშტაბი	1:200	თარიღი	
სტადია		ფურცლების	ფურცლის
პროექტი		7	302
ფორმატი A-3	თბილისი 2015 წ. დამკვეთის N		

Планировка 0.00 этажа 8388 м²
Этажность 1
Высота 4.20
Общая площадь 8388 м²
Площадь застройки 8388 м²
Объем 35238 м³
Высота 4.20
Высота 4.20
Высота 4.20



ПЛАН ЭТАЖА ОТМЕТКА +3,40 ПОДВАЛ

ЭКСПЛИКАЦИЯ ПОМЕЩЕНИЙ

Номер на плане	Наименование	Площадь, м²
1	Помещение	2,73
2	Помещение	6,00
3	Помещение	6,00
4	Помещение	6,00
5	Помещение	6,00
6	Помещение	6,00


1 2 3 4 5 6 7 8 9
А Б В Г Д Е Ж З И К
1 2 3 4 5 6 7 8 9
4.45 6.00 2.55 5.00 0.45 5.55 6.00 6.20
44.20
1.30
10.75
7.20
5.20
6.00
4.40
1.40
0.40
0.00
-1.00
-1.50
-2.20
-2.70
-3.00
-3.20
-3.40
-3.60
-3.80
-4.00
-4.20
-4.40
-4.60
-4.80
-5.00
-5.20
-5.40
-5.60
-5.80
-6.00
-6.20
-6.40
-6.60
-6.80
-7.00
-7.20
-7.40
-7.60
-7.80
-8.00
-8.20
-8.40
-8.60
-8.80
-9.00
-9.20
-9.40
-9.60
-9.80
-10.00
-10.20
-10.40
-10.60
-10.80

ჭრილი 1-1

მ. 1:100



ამსტერდამი

ეროვნული ნიმუში

ნიმუშის ადგილი

±0.00 ეროვნული ნიმუში

მინიშნებები

1. ეროვნულ ნიმუშზე ფასადების ფერადოვნების ფერი შეთანხმებულია ფასადების ფერადოვნებასთან

2. ნიმუშის ზომები ფასადებზე ფანჯრებია

3. ნიმუშიდან ნებადართულია ხანძარსაწინააღმდეგო ფანჯრების, ფანჯრების.

პროექტის სახელწოდება

ქ. თბილისში, ფონტანების ფ-ზ ფანჯრების, N21-ში ფანჯრის N 58 ადგილზე საოჯახო სასტუმროს ფანჯრის ზომის ცვლილება ნებართვის

დამკვეთი	N158 სასტუმრო სოფლი

შ.პ.ს. "ფანტა-ინჟინერინგ"
ქ. თბილისი, ნუნუხის ქ. N28
599 73 02 15

ჭრილი 1-1

ჭრილი 2-2

მ. 1:100



ექსპლიკაცია

პროექტირების ნიშნები

- - - - - წითელი ხაზები

± 0.00 ფრაგმენტურად ნიშნული

შენიშვნები

1. ბეტონის მასალებისგამოყენება დამკვეთის მიერ მოწოდებულ შესაბამის

2. ნაგებობის ზუსტი ადგილმდებარეობა მაგრამ

3. ფილების ხაზის ფაქტობრივი სანგრევლობის ადგილზე მიბმულია.

პროექტის სახელწოდება

ქ. თბილისი, ალმაფფარის №2 ფასადები, №21 და ფეიქრის №158 სავაჭრო ცენტრის სადგომებიანი ფილიალის ტერიტორიის ნაგებობა ფრაგმენტი

დამკვეთი	№158 სავაჭრო ცენტრი
	შ.პ.ს. "ფილ-ინვესტი" ქ. თბილისი, ფოსტის ქ. №28 599 73 02 18

თანამდებობა	სახელი	ხელმოწერა	თარიღი
დამპროექტებელი	ბ. ბუბულაშვილი		
არქიტექტორი	ბ. ბუბულაშვილი		
ფასადები	ნ. ჯაფარიძე		

ჭრილი 2-2

ფასადები	1:100	ფასადები	
სტადია		ფურცლების	ფურცელი
ფასადები		7	3-07
ფორმატი A-3	პროექტის 2016 წ.		

MAGNITUDE OF BURNING
FLOWERS

MAGNITUDE OF BURNING
FLOWERS

MAGNITUDE OF BURNING
FLOWERS